ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქალაქი თბილისი, ზურგოვანსა და მუხადგვერდში ასასვლელი გზის შესაყარის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწ. საც. მეურნეობა., შპს „ოპტიმა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.014.962), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის, ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების“ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

არქიტექტორი: გივი გოგოლაშვილი

ექსპერტი: გიორგი მერაბიშვილი

თბილისი

2021 წელი.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, ზურგოვანსა და მუხადგვერდში ასასვლელი გზის შესაყარის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწ. საც. მეურნეობა., შპს „ოპტიმა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.014.962)

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

არქიტექტურული პროექტის ავტორ(ებ)ი: არქ. გივი გოგოლაშვილი

გასათვალისწინებელი ინფორმაცია:

საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტი მოიცავს:

- არქიტექტურული პროექტის შემადგენლობის ჩამონათვალი;
- პირობითი აღნიშვნები;
- შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ჭრილები;
- შენობა-ნაგებობის ფასადები;
- კიბის და პანდუსის დეტალური ნახაზები;
- ფასადისა და სახურავის დეტალური ნახაზები;
- შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

<u>სარჩევი:</u>

1. <u>დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება</u>
2. <u>კონსტრუქციის ტიპების შეფასება</u>
3. <u>შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება</u>
4. <u>4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება</u>
5. <u>გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება</u>
6. <u>მისაწვდომობის შეფასება.</u>
7. <u>გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება</u>
8. <u>სახურავის ანაწყობების შეფასება</u>
9. <u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება</u>
10. <u>ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:</u>
11. <u>წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება</u>
12. <u>ლიფტების შეფასება</u>

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:

პროექტი შედგენილია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 დეკემბრის #4313233 ბრძანების და 2019 წლის 4 სექტემბრის #4647786 საფუძველზე.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, ზურგოვანსა და მუხადგვერდში ასასვლელი გზის შესაყარის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწ. საც. მეურნეობა., შპს „ოპტიმა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.014.962)რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია სამხრეთით და დასავლეთით არსებული მისასვლელი გზების მხრიდან. საკადასტრო გეგმის მონაცემებით მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 3260 კვ.მ

ნაკვეთი განტავსებულია სწორ რელიეფზე.

პროექტის აღწერა:

წინამდებარე პროექტი წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს 12 მიწისზედა სართულით, შენობის პირველი სართულზე მისასვლელი განთავსებულია საზოგადოებრივი სივრცის დონეზე (0,00=472,40), შესაბამისად მისაწვდომობა ხორციელდება პანდუსის გარეშე.

შენობის პირველი სართული დათმობილი აქვს კომერციულ ფართს; ასევე დამხმარე სათავსოს ელექტროგენერატორისთვის. ასევე ღია და გადახურული ავტოსადგომები მოწყობილია ეზოს ფარგლებშიც. ნაკვეთის აღმოსავლეტის მხარესს მდებარე შესასვლელთან ასევე მდებარეობს მცირე ზომის შენობა-ნაგებობა (საყრაულო). ავტოსადგომების საერთო რაოდენობა შეადგენს 40 ადგილს, ამათგან 30 ადგილი განთავსებულია ეზოში, ხოლო 10 ავტოსადგომი ნაკეთის აღმოსავლეთით მდებარე გადახურულ ავტოსადგომზე. გათვალისწინებულია 2 ადგილი შშმპ პირთათვის. შენოის ავტოსადგომში შესვლა ხდება 4-5 ღერძებს შორის. ავტოფარეხში ღიობები მოწყობილია გამჭოლად, რითიც დაკავშირებულია ერთმანეთთან საზოგადოებრივი სივრცე და ეზო. „ა-გ“ და „1-7“ ღერძებში მოქცეული ავტოსადგომის პერიმეტრია 116,6 მ, ხოლო ღიობების ჯამური სიგრძე 69,85 მეტრია, რაც შეადგენს 59.91 %-ს. ამავე კედლების ფართობია 314.82 კვ.მ, ხოლო ღიობების ფართობია 126.22 კვ.მ, რაც შეადგენს 40.09 %-ს. იგი წარმოადგენს ღია ავტოსადგომ-გარაჟს. სართულის სიმაღლეა 270 სმ.

რაც შეეხება ნაკვეთზე განლაგებულ, მსუბუქი კონსტრუქციის გადახურულ ავტოსადგომს : ავტოსადგომის პერიმეტრია 72,40 მ, ხოლო ღიობების ჯამური სიგრძე 41,7 მეტრია, რაც შეადგენს 57,6 %-ს. ამავე კედლების ფართობია 195,48 კვ.მ, ხოლო

ღიობების ფართობია 112,59 კვ.მ, რაც შეადგენს 57,6 %-ს. იგი წარმოადგენს ღია ავტოსადგომ-გარაჟს. მისი მაშუალო სიმაღლეა 290 სმ.

მეორე და მეთერთმეტე სართულების ჩათვლით სართულები ტიპიურია და თითეულზე განლაგებულია 12 ბინა. ხოლო მეთერთმეტე სართულზე 5 ბინა. სართულის სიმაღლე 320 სმ.

ყველაზე პატარა ბინის ფართობია 32,37 კვ.მ. სტუდიოს ტიპის ბინებში ყველაზე პატარა საძინებლის ფართობია 10,66 კვ.მ. ყველა ბინაში არის 14 კვ.მ მეტი ფართობის ოთახი. ასევე არცერთი საძილე ან საცხოვრებელი ოთახის ზომა (სიგანე ან სიგრძე) არ არის 240 სმ-ზე ნაკლები.

საცხოვრებელ სახლს გააჩნია ერთი ლიფტი, რომელიც იტევს საკაცეს. სახუავზე მოწყობილია ლიფტის სამანქანოს ნაკვეთური. მასთან მისვლა შესაძლებელია მონაცვლე საფეხურებიანი კიბის მეშეობით.

ფასადები ნაწილობრივ მოპირკეთდება ეკლარის ქვით, ნაწილობრივ მოეწყობა დეკორატიული ლესვა და შეიღებება მუქი რუხი ფერის საღებავით RAL 7016, ხოლო შენობის ნაწილები მოპირკეთდება ხის ფაქტურიანი კომპაქტ ლამინატით. კარ-ფანჯარა შავი ფერის პროფილის მეტალოპლასტმასია. დამონტაჟებულია ლითონის და მინის მოაჯირები.

მიწის დონის ნიშნული შეესაბამება 472,40, რომელიც გათანაბრებულია შენობის პირველი სართულის იატაკის მოპირკეთებულ ნიშნულთან 0,00. მიწის დონიდან (სახანძრო მანქანის მისადგომიდან) ყველაზე მაღლა განთავსებული დაკავებული იატაკი არის 35,000 მ. სიმმაღლეზე.

საპროექტო შენობის სტრუქტურული ელემენტები რკინაბეტონის სვეტები, კოჭები და სიხისტის დიაფრაგმებია, სართულშუა გადახურვა მონოლითური ფილაა. შენობას კონსტრუქციულად გააჩნია 12 სართული. შენობა ნაგებობა უსაფრთხოების წესების მიხედვით, ფართობით და სიმაღლით მიეკუთვნება **I-B** კონსტრუქციის ტიპს. სახურავის ქანობი შეადგენს 2%-ს და იგი მოწყობილია მონოლითურ ფილაზე. ქანობი შედგენილია პემზის, ცემენტის და ჰიდროიზოლაციის ფენებისგან, რომელიც დეტალურად ნაჩვენებია ნახაზზე.

ძირითადი ნაწილი

1.დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სდაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება **302-ე ქვეთავს.**
- პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

➢ **<u>სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ღია ავტოსადგომი გარაჟი ±0.00 ნიშნულზე)</u>**

სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (ღია ავტოსადგომი გარაჟი 0,00 ნიშნულზე) წესების **311,3** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს. **სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (ღია ავტოსადგომი გარაჟი) განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **-18,6** (ავტოსადგომი გარაჟები) წესების - **1004** ქვეთავის და **1004.1.2** ცხრილის შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **24** დამკავებელს. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით ღია ავტოსადგომი გარაჟი აკმაყოფილებს წესების **406.5.1-406.5.11** ქვეთავების მოთხოვნებს, ღია ავტოსადგომი გარაჟისთვის საჭირო აუცილებელი ღიობების რაოდენობასთან, ფართობთან და განლაგებასთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია **508.1** ქვეთავის და **508.4** ცხრილით განსაზღვრული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **(სწ-2),** მის ზედა სართულზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისაგან გამიჯნულია მინიმუმ **2** საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721,1(1) ცხრილებში,** საპროეტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია

გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ავტოსადგომი აკმაყოფილებს წესების **406.61-406.3** ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: **406.5.11** ქვეთავით განსაზღვრულ აკრძალვებს, ასევე წესების **406.9.3** ქვეთავის და **406.9.4.3.2** ცხრილის მიხედვით მოთხოვნილ მინიმუმ **2.5** მეტრს, ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს მოთხოვნილ მინიმუმ **5.5** მეტრს. ავტოსადგომებზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია **406.9.4** ქვეთავის და **406.9.4.3.1** ცხრილის შესაბამისად და პროექტის მიხედვით წარმოადგენს მინ **3,50** მეტრს. ასევე აღმოსავლეთის მხარე ნაკვეთზე მდებარე მსუბუქი კონსტრუქციის ავტოსადგომი აკმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლის მოთხოვნებს.

- <u>დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (დამხმარე სათავსი, მექანიკური მოწყობილობის ოთახი 0,00 ნიშნულზე)</u>

დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს გენერატორის სათავსო 0,00 ნიშნულზე) წესების **312.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს და სხვადასხვა ნაგებობებს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

დს ჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **27,9** (დამხმარე სათავსი, მექანიკური მოწყობილობის ოთახი და ნაკვეთის აღმოსავლეთით მდებარე ცალკე მდგომი საყარაულო შენობა-ნაგებობა) წესების **1004** ქვეთავის **1004.1.2** ცხრილის შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1 დამკავებელს.

- <u>სავაჭრო ჯგუფი სვ</u>
  - 0.00 ნიშნულზე განთავსებული მაღაზია.
  - აღნიშნული შეესაბამება 309.1 ქვეთავს.

- **<u>საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები +3,000 ნიშნულიდან +31,800 ნიშნულის ჩათვლით)</u>**

აღნიშნული შეესაბამება **310.4 ქვეთავს**, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა საძინებელი ერთეულებით ან ორზე მეტი საოცხვრებელი ერთეულით, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ცხოვრობენ- მრავალბინიან სახლებს/შენობებს.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1** ქვეთავთ განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინ. სიგანე 2,6 მეტრი) **1208.2** ქვეთავით განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით სიმაღლე 3,0 მეტრია) და **1208.4 ქვეთავის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი **37,83** კვ.მ). ასევე დაცულია **მე-12 თავით** განსაზღვრული სხვა მოთხოვნები შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **-18.6** (საცხოვრებელი) წესების **1004** ქვეთავის და **1004.1.2** ცხრილის მიხედვით, შესაბამისად თითეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, მე-2 დან მე-12 სართულამდე **39** დამკავებელს თითო სართულისთვის. საცხოვრებელი ჯგუფის **(სც-2)** ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **429** დამკავებელს.

თითეული საცხოვრებელი ფართობები (ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ **2** საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და **1** საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე კედლები, რაც შეესაბამება **508.4** ცხრილში და **420** ქვეთავში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

<u>შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, კერძოდ:</u>

1.ავტოსადგომებისთვის **(სწ-2)** მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჟების სივრცის სტატუსი და შემდგომ ფართობი გაყოფილია **18,6-ზე;**

2.დამხმარე სათავსი, მექანიკური მოწყობილობის ოთახისთვის და საყარაულო შენობა ნაგებობისთვის **დს** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია ფართის მიხედვით და შემდგომ გაყოფილია **27,9-ზე:**

3. 0.00 ნიშნულზე განთავსებულ მარაზიას (**სვ**) მიკუთვნებული აქვს სავაჭრო-კომერციული (მიწისპირა იატაკის ფართობი) სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 2.8-ზე

4.საცხოვრებელი ერთეულებისთვის **(სც-2)** დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია სართულის მთლიანი ფართის მიხედვით და შემდგომ გაყოფილია **18,6-ზე:**

<u>ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდეგი დაანგარიშებული დაკავებულობების დატვირთვა თითეული სივრცისთვის (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე) და მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:</u>

<u>-მცირე საფრხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2:</u> **34 დ.დ**

1-7 და ა-ბ ღერძებში ეზოში მდებარე გადახურული ავტოსადგომი გარაჟი 168,85 კვ.მ/18,6 დ.დ.ფ =9დ.დ

<u>-მაღაზიის დანიშნულების სავაჭრო ჯგუფი სვ:</u> **156 დ.დ**

1-7 ღერძებში მდებარე მაღაზია 434,8 კვ.მ / 2,8 დ.დ.ფ = 156დ.დ

-დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს:_____2დ.დ

0,00 ნიშნულზე გენერატორის სათავსი 16,71 კვ.მ/18,6 დ.დ.ფ =1დ.დ

საყარაულო შენობა ნაგებობა 36,96 კვ.მ/18,6 დ.დ.ფ =1დ.დ

<u>-საცხოვრებელი ჯგუფი სც-2:</u> **390დ.დ**

-საცხოვრებელი ბინები +3,000 და +35,000 ნიშნულებზე__171,77 კვ.მ/18,6 დ.დ.ფ =39დ.დ

შენიშვნა: ყველა ნიშნულზე სადაც განთავსებულია საცხოვრებელი ბინები დაკავებულობის დატვირთვა დაანგარიშებულია იატაკის მთლიანი ფართობით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რომელიც ამ შემთხვევაში შერჩეულ იქნა შენობების დაკავებულობის და სართულიანობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს **503 ცხრილის** მოთხოვნებს (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. **601 ცხრილში**)
- **ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო -2 სთ.**
- **გარე და შიგა მზიდი კედლები -2სთ.**
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები -2 სთ.**
- **სახურავის კონსტრუქცია -2 სთ.**
- **არამზიდი ნაწილები -1სთ**

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია **„წესების“** მიხედვით.</u>

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- 503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კოსნტრუქციული **I B** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.
- პროექტით გათვალისწინებულია **12** სართულიანი შენობის მშენებლობა.
- შენობის სიმაღლე მიწის საკონტროლო დონიდან შეადგენს **38,20** მეტრს.

- შენობაში გათვალისწინებულია **სწ-2, დს, სვ** და **სც-2** ჯგუფის დაკაებულობები.

აქედან:

-სწ-2 ჯგუფის მქონე ფართობი გათვალისწინებულია მიწის დონის ზედა **1** სართული ცალკე მდგომი გადახურული ავტოფარეხი

-დს ჯგუფის მქონე ფართობი გათვალისწინებულია მიწის დონის ზედა **1** სართული. ასევე ცალკე მდგომი საყარაულო შენობა ნაგებობა.

-სც-2 ჯგუფის მქონე ფართობი გათვალისწინებულია მიწის დონის ზედა **2-11** სართულები.

- საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან **35,00** მეტრზე, რითიც წესების მიხედვით შენობა გადის „მაღლივი შენობის“ კატეგორიაში და უნდა აკმაყოფილებდეს წესების **403** ქვეთავის მოთხოვნებს.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს **მე -5 თავის 503-ცხრილის მოთხოვნებს.**</u>

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალისი განხორციელდა შენობის თითეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შემზღუდავების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად. წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე შენობის თითეულ სართულს ემსახურება 2 გასასვლელი გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს.

- **გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:**
  - მიწისპირა სართულზე (**0,00** ნიშნულზე) განთავსებულ **სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობას (ღია ავტოსადგომი გარაჟი) დაკავებულობის დატვირთვიდან **(24 დამკავებელი)** და გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილიდან (**15** მეტრი) გამომდინარე ემსახურება **2** მხრიდან გახსნილი სივრცეები, რაც

აკმაყოფილებს წესების **1021.2(2)** ცხრილის მოთხოვნებს მიწისპირა სართულებთან დაკავშირებით. ამავე სართულზე მდებარე **დს** ჯგუფის დაკავებულობას (გენერატორის სათავსო) დაკავებულობის დატვირთვიდან (1 დამკავებელი) გამომდინარე ემსახურება ერთი გასასველის გზა-კარი.

ასევე ცალკე მდგომი საყარაულო შენობა-ნაგებობა **დს** დაკავებულობის დატვირთვიდან (1 დამკავებელი) გამომდინარე ემსახურება ერთი გასასველის გზა-კარი. რაც შეეხება ცალკე მდგომ გადახურულ ავტოსადგომს იგი გახსნილია 3 მხრიდან.

- საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **მე-2 მე-11** სართულებისთვის განსაზღვრულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. როგორც უკვე აღინიშნა, გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ **2** საათს, რაც აკმაყოფილებს წესების **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება **6** მეტრს, რაც აკმაყოფილებს **1018.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.
- იქედან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა შედის მაღლივი შენობის კატეგორიაში (სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილისან, შენობის ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **35,00** მეტრია) შიგა გასასვლელი გზა-კიბეები წესების **909.20 ქვეთავის** შესაბამისად აღჭურვილია კვამლის საკონტროლო სისტემებით, კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით და აღჭურვილია ჰაერის მექანიკური განიავების სისტემებით.
- წესების ქვეთავი **1016**-სა და ცხრილი **1016.2**-ის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი **სც-2** ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია 60 მეტრი და 90 მეტრი **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობებისთვის, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.
- გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008** ქვეთავის შესაბამისად, ყველა მათგანი აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

- გასასვლელები გრძელდება **1027** ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელებით და სრულდება საზოგადოებრივ გზამდე.

*შენიშვნა: **1006.2** ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონეზე **11 ლუქსზე** ნაკლები არ უნდა იყოს. **1006.3** ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტრომომარაგებამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.*

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება.

როგორც ზემოთ აღნიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009** ქვეთავის შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის**

შიგა და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების **1009.7**, **1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხ. გზა-კიბის დეტალირი ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1009** ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს წესების **716.5** ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმული ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისცხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხხარისხი 90 წუთია.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესებისს **1018** და **1023** ქვეთავების შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოტხოვნას. პროექტის მიხედვით კოლონებთან გათვალისწინებულია 1,20 მეტრი, ხოლო ნაწილობრივ დასაშვებ მინიმუმზე **(1,20 მ)** მეტი სიგანის დერეფანი, მინ **1,5** მეტრი.

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია **1008** ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. პროექტით გათვალისწინებულია, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა კარების სუფთ თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0,90** მეტრს.

ასევე უნდა აღინისნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებსი ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს **716.5** ქვეთავის მოთხოვნას ღიობის ცეცსლმედეგობასთან დაკავშირებით. ასევე წესების **1017** ქვეთავის მოთხოვნას გასასვლელის დაშვებულ მინიმუმთან დაკავშირებით.

სახურავი არაექსპლუატირებადია და მასთან მიდგომა ხდება

მონაცვლესაფეხურიანი კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 პუნქტისა.

მონაცვლესაფეხურიანი კიბის ნორმები შეესაბამება 1009.13.2 პუნქტის მოთხოვნებს.

*შენიშვნა: გზა-კიბეების შემომზღუდავებში ჩაყენებული კარები **907.3** ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტამდე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვალმლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წუთზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.*

6. მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრტხოების წესების **მე-11 თავის** მიხედვით გეგმარებიას კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუფული შესაზლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე **მე-11 თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

ღია ავტოსადგომი გარაჟი **(სწ-2),** ავტოსადგომების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე (40) უზრუნველყოფილია 2 მისაწვდომი ავტოსადგომით, რას ავმაყოფილებს წსების **1106.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მიწის დონის სართულებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი სვლაგეზის უზრუნველყოფა ხორციელდება შიგა გასასვლელის გზა-კიბესთან არსებული ლიფტის მეშვეობით, რომელიც აკმაყოფილებს **1702.4** ქვეთავის მოთხოვნებს ლიფტის კაბინის ზომებთან დაკავშირებით, რომელშიც შესაძლებელია საკაცის შეტანა.

<u>მისაწვდმია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.</u>

*შენიშვნა: მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება **1703-ე** ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.*

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის კონფიგურაციიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან და ქუჩის შუა ღერძიდან შენობის დაშორების მანძილი გარკვეულ ღერძებში განსხვავებულია, შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე გარე კედლების ხანძარმედეგობა **(ცხრილი 602)** და გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი **(ცხრილი 705.8)** განსხვავებულია, კერძოდ:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ყველაზე კრიტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებითაც კი წარმოადგენს 2 საათს და პროექტის ავტორის მიერ, 1 მეტრზე ნაკლებ ხანძარსაწინაამღდეგო მანძილზე გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხად მითითებული 2 საათი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს. გამონაკლისია მხოლოდ ის გარე კედლები, რომელთა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9** მეტრს აღემატება და შესაბამისად გარე კედლებს არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა **(ცხრილი 602)**.

- გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობი შეესაბამება **705.8** ცხრილის მოთხოვნებს.
- დაცულია, აგრეთვე, **705.8.5** ქვეთავის მოთხოვნები, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში;

შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების

ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლის ზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი **602** და **705.8** ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს **„წესების“** მოთხოვნებს.</u>

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.
- **601** ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B** ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.
- სახურავზე მოწყობილია მოაჯირი, რომლის სიმაღლე, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი ერთმანეთს კვეთს არის 0,90 ხოლო მონაცვლესაფეხურიან კიბეებთან მდებარე მოაჯირების სიმაღლე 1,10 მ.

შენიშვნა: სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

<u>სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს</u>

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B**) გამომდინარე შენობის ყველა იატაკის კონსტრუქციას უნდა გააჩნდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (რაც პროექტით გათვალისწინებულია) და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც **508.4** ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი, დაცულია.

  რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

  - ±0.00 ნიშნულზე კიბის საზოგადოებრივ სივრცეში გამოსასვლელები და ღია ავტოსადგომი გარაჟი **(სწ-2)** ერთმანეთისგან 2 საათიანი ცეცხლმედეგი ტიხრით არის გამიჯნული,ხოლო კიბის უჯრედებში მოწყობილი ღიობების 90 წთ ცეცხლმედეგობის ხარისხთ, რაც აკმაყოფილებს **1023.3** ქვეთავის და **716.5** ცხრილის მოთხოვნებს.
  - დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც აკმაყოფილებს **1018.1** ცხრილის მოთხოვნებს, ხოლო კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის **20** წუთი და შეესაბამება **716.5.3** ქვეთავის მოთხოვნებს. რაც შეეხება **სც-2** ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულებში არსებულ დერეფნებს, მათ **1018.1** ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება.
  - კიბის უჯრედები დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით, თუმცა ვინაიდან აღნიშნული კედლების უმრავლესობა წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ნაწილებს, ხანძარმედეგობა დასაშვებ 2 საათზე მეტია, რაც თავისთავად აკმაყოფილებს **„წესების“** მოთხოვნებს. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია **90** წთ-

იანი ცეცხლმედეგობის თვითკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.2** ქვეთავის, **1009.3.1.4** ქვეთავის და **716.5** ცხრილის მოთხოვნებს;

*შენიშვნა: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი **716.5.3.1** ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით კვამლისა და წევის მაკონტროლებელი კარის ანაწყობი **UL 1784-ის** შესაბამისად უნდა შემოწმდეს ძირში ხელოვნული საგმანავის განთავსების გარეშე.*

- შენობებში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება **713.4** ქვეთავის მოთხოვნებს;

*შენიშვნა: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს **717.5.3.** ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.*

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

ვინაიდან საპროექტო, **სც-2** ჯგუფის შენობის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან **37** მ-ზე ზემოთ **903.2.8** ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება მთლიან შენობაში საჭირო არ არის (არ არსებობს, აგრეთვე სხვა რამე გარემოება, რაც **„წესების“** თანახმად ითხოვდეს ავტოსაშხეფი სისტემის შენობაში მოწყობას). ასვე ავტოსაშხეფი სისტემა გათვალისწინებულია არ აარის ღია ავტოსადგომ გარაჟში. ავტოსადგომი ითვლება ღია ავტოსადგომად და აკმაყოფილებს **406.5.2** თავის მოთხოვნებს.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბის შუალედურ ბაქნებზე გათვალისწინებულია **III კლასის** სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა **30** მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან **9,0** მ-ის საზღვრებში.

შენიშვნა: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობის სიმაღლიდან და სართულების რაოდენობიდან გამომდინარე, წესების **909.20 ქვეთავის** მიხედვით შემოზღუდულ შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს და ლიფტებს აქვს კვამლის საკონტროლო სისტემით აღჭურვილი ვესტიბიულები, ასევე კიბის უჯრედები და დერეფნები აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის მიწოდებას აღნიშნული სივრცეებისთვის.
- შენობებში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

- **907.2.9.1** ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები **907.4.2.1** ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული სართულის გასასვლელიდან **1,5** მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
- **907.2.11.2** ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;
- **903.3.1.1.1** ქვეთავის თანახმად, კიბის უჯრედში, და ლიფტის სამანქანოში გათვალისწინებულია კვამლის ავტომატური აღმომჩენები.

*შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს **907.2** ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (**102.3** ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).*

- საპროექტო შენობის ყველა ნიშნულებზე **906** ქვეთავის შესაბამისად, გათვალისწიონებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება;
  *შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს **906** ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად.*
- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ორი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.
  შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის

*სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს **912.2-912.5** ქვეთავების მოთხოვნებს.*

- რაც შეეხება ხანძრისაგან დაცვის სხვა სისტემებს, მათი მოწყობა „წესების“ მე-9 თავის მიხედვით ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

*შენიშვნა: სახანძრო სისტემების მოწყობა განხორციელდეს NFPA 72-ის სტანდარტების და **907.2.11 ქვეთავის** შესაბამისად.*

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული **„წესების“** მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება **1602.1** ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:
- მიწისქვეშა ავტოსადგომის სართულზე **(სწ-2)** ტუალეტის მოწყობის აუცილებლობა **1602.1** ცხრილის მიხედვით არ არის.
- საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) უზრუნველყოფილია წყალსადენი სისტემების ყველა აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობით.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ლიფტების შეფასება:

- საპროექტო შენობაში განთავსებულია ლიფტი, რაც აკმაყოფილებს **1701.5** პუნქტის მოთხოვნებს.
- ლიფთის შახტის შემომზღუდავების ღიობები მე-7 თავის მოთხოვნის შესაბამისად არის დაცული, კერძოდ ლიფტის კარის ცეცხლმედეგობა უტოლდება 90 წუთს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება **1702.1.1** პუნქტის და **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ლიფტის კარი NFPA 252-ის ან 10B-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

- ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 0.6მ.X2.15მ. ზომის საკაცის შეტანა, რაც აკმაყოფილებს **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ ლიფტზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სამბოლოს სიმაღლე 75 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და დატანილი უნდა იყოს შიგნიდან ლიფტის შახტის შემომზღუდავის ჩარჩოს ორივე მხარეს.
- ლიფტი არ არის განთავსებული ისეთ შემომზღუდავში, სადაც გზა-კიბეებია, რაც შეესაბამება **1702.7** პუნქტის მოთხოვნას.
- ლიფტის შახტა უზრუნველყოფილია საჰაეროთი, რომლისგან კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება, რაც შეესაბამება 1704.1 პუნქტის მოთხოვნას.
- საჰაერო ლიფტის შახტის თავში მდებარეობს და გადის პირდაპირ გარეთ, თანახმად **1704.2** პუნქტისა.
- საჰაეროების ფართობი უტოლდება 0,30 კვ.მ.-ს, რაც შეესაბამება **1704.3** პუნქტის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ საჰაეროს საერთო ფართობის, არანაკლებ, 1/3 ყოველთვის ღია უნდა იყოს. საჰაეროს ფართობის დახურულ ნაწილებში უნდა იყოს ღიობები, შემინული, არაუმეტეს, 3,2 მმ სისქის ნაწრთობი მინით.
- ლიფტის სამანქანო ოთახი ნებადართული მისადგომით, მონაცვლე საფეხურებიანი კიბეების სახით არის უზრუნველყოფილი, რაც შეესაბამება **1706.1** პუნქტის მოთხოვნას
- ლიფტის სამანქანო ოთახი შემომზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებითა და

თარაზული ანაწყობებით. ცეცხლმედეგი ზღუდეების ცეცხლმედეგობის ხარისხი კი ლიფტის შახტის შემომზღუდავის ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ არის. ასეთ ზღუდეებში მოწყობილი ღიობის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ცეცხლმედეგობის ხარისხს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება **1706.4** პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა: ლიფტები უნდა მოეწყოს 1707 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული **„წესების“** მიხედვით.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქალაქი თბილისი, ზურგოვანსა და მუხადგვერდში ასასვლელი გზის შესაყარის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწ. საც. მეურნეობა., შპს „ოპტიმა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.014.962) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის **კორექტირებული** არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი: გიორგი მერაბიშვილი

პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა (CV)

სახელი გვარი: გიორგი მერაბიშვილი

განათლება, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი

წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
2001-2007	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია	არქიტექტორი	ბაკალავრი
2008-2013	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია	არქიტექტორი	მაგისტრი

შესაბამისი სამუშაო გამოცდილება

წლები	თანამდებობა	ორგანიზაციის დასახელება
2006-2007	არქიტექტორი	საპროექტო "Studio 24"
2007-2010	არქიტექტორი	საპროექტო “TMA-Archi studio”
2010-2011	არქიტექტორი	**“IVERIA” (“IAVNANA” - International Donation Found)** posit ion – main Architect (Cathedral Monastery Complex – “MAKHATA)
2012	არქიტექტორი	**collaboration with Jürgen Mayer-Hermann (Government Project)** posit ion – local main Architect
2016-2018	არქიტექტორი	სამშენებლო “ANAGI ”
2018-2019	არქიტექტორი	ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური
2018- ____	არქიტექტორი	კერძო პრაქტიკა

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000225

არქიტექტურის
ფაკულტეტის 2013 წლის 23 სექტემბრის № 4
გადაწყვეტილებით გიორგი მერაბიშვილს მიენიჭა
არქიტექტურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი / Dean: ნოდარ ამაშუკელი / Nodar Amashukeli

რექტორი / Rector: თინათინ კლდიაშვილი / Tinatin Kldiashvili

თბილისი
TBILISI

10 რიცხვი/ day 11 თვე/month 2013 წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000225

By Decision № 4 of 23 September 2013 of the Faculty of
Architecture
Giorgi Merabishvili
was awarded the Degree of Master of
Architecture.

APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ARTS GEORGIA NPLE 203851545 Seal

სარეგისტრაციო № 000 272
REGISTRATION

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

გიორგი

GIORGI

გვარი / LAST NAME

მერაბიშვილი

MERABISHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	13001007824

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
21.04.1982	17.10.2028

ბარათის No / CARD No

18IB69157

ხელმოწერა SIGNATURE